

უკრალ „ჯეგიდისა“

I სურათი: საომრათ მიეცივარ	682
II საშობაო ლექსი შ. მდგომელისა	683
III ნაცარ-ქექიას ზღაპარი ებ. გაბაშვილისა	685
IV კანიტუჩის შობის დღე (თარგმანი) რესოსი	691
V ობოლი ვანო ლექსი უ. რეზენტესი	701
VI დღესასწაულის დღეები გვიდვება! ან წერეთლისა .	702
VII ერთი ზღარბის თავ-გადასავალი (შემდეგი). თარგმანი ნ. ენუქიძის.	706
VIII წვრილმანი: სადღეგრძელო, გამოცანები, აკროსტიხია და ახსნა	716
<hr/>	
IX შობა ლექსი ჭადო გმბმშეჭრისა	717
X ვერცხლის შარნები (დასასრული) თარგმანი ან. წერეთლისა.	718
XI ჩვენი მოლვაწენი: დიმიტრი ყიფიანი ებ. გაბაშვილისა .	724
XII როგორ იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან (გაგრძელება). ი. თ -ძესი	731
XIII ყოველგვარი ხარისხის და წოდების ხალხი—ვაჭრები. ახალი ხალხი. დაუგვირგვინებელი მეფეები	734
XIV მთელი წლის სარჩევი	740

ჯეგილის 1912 წ. ხელის მომწერლებს საჩუქრათ დაურიგდებათ
დასურათებული ზღაპარი

ლ ღ მ - კ ა ც ი

გიორგი წერეთლისა.
და

ცხელი ქვეუნის ცხოველები

შედგენილი ალ. ჭიჭინძის მიერ
მორთული სურათებით.



საქმაწევილო ნახატებიანი

ურნალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..

ი. დ.

დეკემბერი, 1911

← წელიწადი მეოცდაორე

თბილისი
ალექსანდერმაზი „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.
1911



— სამხრათ მივდივარ!

ს ა ძ რ ბ ა ო.

(ლიზა ლეგენდეს)



ს ე პ გ მ ი ნ ა ვ ს , გ ო გ ო , მ ე ლ ო ,
შ ე ჰ ი რ ქ უ მ ღ ა , მ ე მ ხ ე - ბ ნ ე ლ ო ? !

ა დ ე თ ა ვ ი ღ ა ი ბ ა ნ ე

წ ე ა ლ ი უ ნ დ ა გ ა ვ ა ც ხ ე ლ ო .

ა რ გ რ ც ხ ვ ე ნ ი ა შ ე უ ბ ვ ა ნ ო ,


გ ა წ უ წ უ ლ ი ჩ ი ტ ი ს მ გ ვ ა ნ ო !

ს ვ ა ლ შ მ ი მ ი ტ ა ა , ე რ თ ი მ ი ტ ხ ა რ

ს ა ლ ს შ მ ი რ ი გ ო რ გ ა ი უ ვ ა ნ ო ? !

რ ა ს ი ტ ე ვ ი ა ნ , გ ე ნ ა ც ვ ა ლ ე თ ,

დ ე დ ა ა რ ა ჭ ე ლ ი ა ო ,



შ ვ ი ლ ს ბ ი ნ ბ უ რ ა თ რ ო ა ტ ა რ ე ბ ს
ს წ ი რ ე დ ჩ ა ს ა ქ ლ ი ა ო .

ა ბ ა მ ე რ ა შ უ ა შ ი გ ა რ

გ ე კ ი თ ხ ე ბ ი თ ვ ა ლ ი ს ჩ ი ნ ი ,

რ ა ც კ ა რ გ ი ა , გ ო გ ო ვ , შ ე ნ თ ვ ი ს

განა უნდა გეჩიჩინო?!

შვილზე გაბრაზებულ ლიზას
არ უხსნიდა დანა ჰირსა,
მოსთქვაძძებ და ვალალებდა
ვითომ თავის გასაჭირსა.

თან-კი ქოჩორს უებრცხნიდა,
უსწორებდა გულულ კავებს,
თან ჭკითხავდა: „გენაცვალე“
მითხარ რისთვის გაკავებულის?

მძობლიურის სიუვარულით
ეტმასვნოდა, ეხეოდა,
ცუგრუმელის სიხარულით
ტკბილი თავბრუ ეხეოდა.
სიუვარულის და საუკედურებს
თოჯნა ვისთან გაამსელდა?
სან ხუჭავდა შუმის თვალებს
და სან ისევ ააჩელდა.

ვ. მღვიმელი.



ნაცარ-ქექიას ზღაპარი.



უო და არა იეო რა, იეო
 ერთი ქვრივი ქალი, დიდთ
 მდიდარი, ამავი, ავი და
 გულ-ზეიადი. შვილად, ჰესუ-
 სამი ქალი: ქეთოო, მარ-
 თა და თამარი. ორი უმფ-
 როსი ქალი დედას უევარ-
 და, სულ იმას ჰეგანდნენ, თა-
 ვი მოსწონდათ დიდის სიძ-
 დიდოთ, თავს არავის უევარებდნენ, ეტლით დასეირ-
 ნობდნენ და უკელა ღარიბს ზირს არ დებდნენ.

მესამე ქალი თამარი კა მეტად გეთილი იეო,
 ჩუმი, წენარი, ხმა-ნარნარი, ზირ-მცინარი, შემბრალე
 და თავ-მდაბალი.

არც დებს და არც დედას არ უევარდათ ქალი თა-
 მარი. რისთვის? არ ვიცი! ცუდათ ჩაცმული, დავიწ-
 ებული, ის უოველთვის სამზარეულოში იკვდა,
 ბრინჯასა და მწვანილსა არჩევდა, ჩიტებს დამტრედებს
 საკენკს აძლევდა. უფრო ხშირად კი ცუცხლა ზირას
 იკვდა ჩაფიქრებული, თან ღიღინებდა, თან ნაცარს
 ჰქექდა — ამისათვის ნაცარ-ქექია იმას დეერქვა.

მიიღია წელიწადი, გაიმართა ქალაქში ახალი
 წლისთვის სამზადისი. მდიდრის ქვრივის სახლში
 განუწევეტლად შედიოდნენ სოვდაგარნი, შეჭქონდათ

ძვირფასი ქსოვილები, თვალ-მარგალიტი და სხვა
ძვირფასი განძეული.

ქეთეთო და მართა ირთობოდნენ, სარკეში იუგ-
რებოდნენ, ხარობდნენ და იცინოდნენ. თამარი კი შო-
რიდგან გულ-ხელ დაკრევილი შეჰურებდა მათ ბედ-
ნიერებას და წოდელის გულით იზიარებდა.

აი, ერთ დილას, ქვრივს ეწვია კარის-კაცი,
ხელმწიფის ბრძანებით, რომ ქვრივი ქალი თავის
შვილებით სასახლეში ნადიმს დასწრობოდა, და თან
დედას ჩუმათ წასჩურჩულა: „კარგად ჩაცვია, ბრწინ-
კალეთ მორთე შენი ქალები, მეფის შვილმა დღეს
წვეულთ შორის უნდა იპოვნოს სარძლო ლამაზი“.

ქვრივი დიდად დაფაცურდა, რაც რამ ებადა და არ
ებადა სულ ამოუჭა, დართო ქალები, სულ ზედ დაჭ-
კიდა თვალ-მარგალიტი, ლალი, ზურმუხტი და ია-
გუნდი. ოქრო და თველები ისე ბრწინავდნენ მათ
გულ-მკერდზედა, როგორც გარსკვლავნი წევდიად ცა-
ზედა.

აი დაღამდა. ქალაქი გააჩირადნეს, გაასუფთავეს,
მორწევს, მონაძეს და დამშვენეს, დუქან-ბაზარი სულ
ააუვავეს. მეფის სასახლე მზესავით ბრჭევინავს და
სტუმართ ეტლი მიჰქრის და მიჰქრის —ქვრივის ეტ-
ლი სუეველას სჯობნის, ის ოქროსია და ექვსი ცხე-
ნი სულ ნაბერწეკლებს ჰქერის გერცელის ნალებით.

მარტო თამარი დარჩა დიდ სასლმი. აქეთ-იქით
მიიხედ-მოიხედა, გული აუჩუედა და ტირილი და-
წეო. — ნეტა თუ მე რაღათ დამივიწეა დედა-ჩემმა? ნუ
თუ ისეთი გონჯი ვარ, რომ სასახლეში ვერ გამოგჩნ-

დები და ის პირველად თავის დღემი სარკესთან განხდა. სარკემ ქალს ტკბილათ გაუცინა და შიგ მშვენიერი, ნაზი, მორცხვი და ნარნარი პირი უჩვენა. ოქტომბრის ფერი ხუჭუჭები მსრებზედ სცემდნენ, ლამაზ ცისფერ თვალებმი სიტყბოვება და ლომბიერება ეხატებოდა ამ სარკის პირსა. თამარი შეკრთა. არა სჯეროდა რომ თითონ იქო და პირზედ ხელები მიიღარა, მერე ისევ უკან წაილო და რომ დარწმუნდა, რომ ეს მძვენება თამარი იქო, გულ წრფელად გადისარსარა და კვლავ სარკემი ცქერა დაიწულ. უცნბ ხედავ, რომ სარკის უკან კარი გაედო და იქიდან გამოვიდა ბებერი ქალი, ორად მოხრილი, თავით ფეხამდე თეთრის თმებით მოლად შებურვილი და თამარს უთხრა:

— თამარ ქალო, ხმა ნარნარო, უწეინარო, კეთილო და თავდაბალო! გსურს მეფის მეჯლისში შენც გაისარო?

— ოატომაც არა? მოწიწებით მიუგო ქალმა მოსუცს, — მაგრამ ნაცარქექიას ვინ მიუძვებს რჩეულთა გუნდში?

— მენ ნუ გეშინის. აი ბლონდის თეთრი სამოსი, თეთრი ჟამბახი ოქროს თმებმი გასაკეთებლად და ბროლის ფეხსაცმელი დასამშვენებლად.

წამზედ მოირთო ნაცარქექია და სარკემი კვლავ დაინახა მშვენიერება, უმანკოება და სათხოება. მოხუცმა ქალმა მორთულობა თამარ ქალისა და გვირგვინა მსხვილის მარგალიტის უელშესაბმელით და ხელი-ხელ ჩაკიდებული ჩაიგვანა მდიდრულ კიბზედ. კარებთან

იდგა ვერცხლის ეტლი, და ოთხ თეთრ წევნება ძლივს
იმაგრებდა მძლავრი მეუტლე.

— ჩაჯექ და წადი მეფის სასახლეში, უთხოა მო-
ხუცმა ნაცარქექიას. მხოლოდ გასსოვდეს რომ მეადა-
მისას შინ უნდა იუვე.

მეფის სასახლე მთლად პრიალებდა ვერცხლის
ლამზრებით. ალმასის ძაღლევნები აქა-იქ სჩექვდნენ და
გარშემორტყმულ უვავილებს წინწკლებს აერიდნენ. მე-
მუსიკენი ბუსიკაბდნენ, მომღერალთ გუნდი შეამ-
კობდნენ მეფეს ძრიელსა. აუარებელი სტუმართ კრე-
ბული დასეირნობდა დიდ დარბაზებში, შემსცეოდნენ
ბჟირფას საჭმელებს, ზოგან მღეროდნენ, ზოგან თა-
მაში იუო გაჩაღებული, საზოგადოთ-კი ლხინი დიადი.

მხოლოდ მემკვიდრე, მზისებრ მნათობი, ოქროს
თმიანი, ოქროს ქსოვილით ტურფად მოსილი, დაფო-
ნებული ჩუმად კიდოდა სტუმართა შორის და არც ერთ
მათგანს არ უდიმოდა და არ ეტუოდა სიტუაცია წელი-
ანს.

უცებ მეფის ძემ თვალი მოჰკრა კუთხები მდგომს,
თეთრად მოსილს ნაცარქექიას — ფერიას.

„ა რჩეული!“ მეჭევირა ვაქმა და გემურა მის
სანახავად... საბაასოდ და სათამაშოდ... ამ ღროს სა-
ათმა თორმეტჯერ დაჰკრა. ნაცარქექია საშინლად შე
კრთა რა გაახსენდა მოხუცის დანაბარები და სწრაფლ
გაექანა შინ წასასვლელად.

„დაიჭით, დაიჭით! ეგ არის, ეგ ჩემი რჩეული“
უვიორდა მემკვიდრე ტახტის, მაგრამ ზმანება გაჰქრა

და მას დარჩა მსოლოდ პატარა ბროლის ფაჩუხი, ბროლის კიბეჭედ სასახლის.

შესწედა მუსიკა, ბოლო მოედო მხიარულობას. მეფის ნადიმი უცებ მოისპო.

ნაცარქექიამ ძლივას მოახტოო ტანთსაცმლის განხდა და ძველ ძონძებში კვლავ გეეხვია, რომ მინ დაბრუნდნენ და დები.

— შე საწეალი, უბედურო ნაცარქექია, რომ გენახა რა ამბავი იყო, რა სიმდიდოე, რა მორთულობა, მშენიერო გუნდი, ციური მღერა... იმაზედ კი, რომ მეფის ძემ მორთულთა მორის აირჩია სიწრფლე სადა და გულუბრუვილობა, არა უთხრეს რა.

მეორე დღეს დაჭკრეს ნაღარა და მთელ ქალაქი იწეს ძებნა მეფის „რეულისა“. უკელვან მოვიდნენ ნაზირ-ვეზირნი, სულ დაიარეს იმათი ბინა, ვინც იუვნენ გუშინ მეფის წეველნი. მაგრამ ფაჩუხი, ბროლის ფაჩუხი არ ვისა რგებდა. ქვრივმაც მოიხმო თავის ასულნი, ქეთეთო, მართა, მაგრამ ტეუილად. ცალი თითოც არ ჩაუვიდათ ბროლის ფაჩუხმი.

— სხვა აღარავინ არის ქალი ამ სახლში? იკითხეს ნაზირ-ვეზირმა.

— ვახლავს, მოწიწებით მოახსენა მათ მზარეულმა და ნაცარქექია მთლად დარცხვენილი, გაწითლებული წამოაუენა. — ეს მესამეა ქვრივის ასული.

დედა და დები საშინლათ შეკრონენ, უერი ეცვალათ, როდესაც თამრომ მარს დაიხარა და ფეხთ ჩაიცვა ბროლის ფაჩუხი. ამ დროს თამარის თავს მოსახვევი გადაუგარდა და ოქროს თმები წამოემალნენ.

„ეს არის, ესა! მზეთ-უნახავი! წიმოძახეს მეფის
მხლებლებმა და ბედნიერი მეფის ოჩეული ოქროს კარე-
ტით მეფეს წაჰგარეს.

ქეთეთო, მართა შურით ტიროდნენ. ღედაც სტირო-
და, არ იცინოდა, ნაცარქექის მომულებულის ბედსა
ჰყვირობდა.

ეპ. გაბაშვილისა.



კანიტების შობის დღე.

(იტალიანური ცხოვრებიდან მატილდა
სერაფიმი)



ამდებოდა. ერთ ჰატარა სოფლის
სახლში თან და თან ჩამობნელდა.
დიდ გამურულ ფეხის წინ იჯდა
მამიდა ჰასკალინა, წინ ედო ლო.
ცვანი. სახლში სიჩუმე იქნებოდა,
რომ ჰასკალინას გამსმარ, უსის-
ხლო ტუჩებს ჩურჩულით ერთი
და იგივე ლოცვები არ ეძეორებინა.
მეჭვარტლულ კედლებს, ღროთა ვი-
თარებისაგან დაძველებულ ოთახის
ავეჯეულობას თან და თან სიბნელე

ეფარებოდა, მხოლოთ ფეხში ცოტაოდენი დაფერფლი-
ლი ცეცხლი მოჩანდა.

ვიდამაც დაარახუნა. ჰასკალინა წამოდგა კარის
გასაღებათ. ოთახში შემოვიდა ტერეზა. ის დაიარებოდა
ჰასკალინასთან უოველ დღე და სახლის მოვლას შვე-
ლოდა. ახლაც მან მოუტანა კოკით წეალი. მას მხარ-
ზე ედგა ეს კოკა და კარებში შემოსვლის დროს დაიკუზა.
ჰასკალინა საჩქაროთ მიეწველა და კოკა ჩამოართვა.
სოლო მაშინ ტერეზამ სული მოიბრუნა და წელში
გასწორდა, მერე მოიხადა თავის დიდი თავ-მალი და

ცეცხლ წინ გადაჭინა ვასაძრობათ. გარეთ წვიმდა, სილაბანდიდან ჩამოსდენოდა პირზე წუნწკლები და პისი ჭაღარა თმები სულ დასველებოდა.

ზასკალინამ მიინთო სანათი, ამოიღო კიდობნიდან პურის დიდი ნატეხი, ჭედ დაუდო გამხარი უველის ნაჭერი და მიაწადა ტერეზას. თანაც ჰქითხა.

— სად არის ქანიტუჩი?

— არ ვიცი, არ მინახავს.

— დაღამდა და ის საძაგელი-კი არსადა სჩანს.

— მოვა. უსათუოდ მალე მოვა.

ტერეზამ პური და უველი ჭამის მაგივრათ თავის დიდ, ღრმა ჯიბეში ძეინახა, რადგან მას შინ ვახშმათ ოთხი მმიერი ბავშვი მიელოდა.

მან ცოტა სანს კიდევ მოიწადა, მერე მისუსტებული ხმით თქვა:

— ახლა კი წავალ. დამე მშვიდობისა.

— ძილი ნებისა. უპასუხა ზასკალინამ და უკან გაჭევა.

— ქანიტუჩი...ი დაიუვირა მან.

გარეთ დიდი სიბნელე იუო, ზასკალინა თუმცა აქეთ-იქით იუურებოდა, მაგრამ ვერას არჩევდა. ბოლოს რამდენჯერმე კიდევ დაიუვირა

— ქანიტუჩი... ქანიტუჩი!..

ზასუხი არავინ გასცა. ზასკალინა ბუტბუტით ჩავიდა კიბეებზე, გაუარა ბილიკით ბოსტანს და მივიღა ჭიშებრთან (ალაუზის ქარებთან), გაისედა ქუჩაში მარჯვნივ, მარცხნივ... არავინ არა სჩანდა.

— ხომ არსად არ გადიჩეხა, ის სამაგელი, ბუჭი დუნით სოქვა მამიდა ჰასკალინამ.

უცბათ მოესმა კიდასიც ქანება. შეიდი წლის გო გონა კანიტუჩი იჯდა მოკუნტული ჭიშკართან, თავი მუხლზე დაედო და ხელები თქებძი წაევლო.

— აქა უოფილხარ! რატომ ხმა არ გამეცი? რა ამბავია, სოქვი რაღა! გცემეს? სად არი ჩიკკოტტო.

კანიტუჩიმ დრმათ ამოიკგნეხა.

— რაზე დაგიგვიანდა? სად არი ჩიკკოტტო? ხომ არ დაჭირებე? მამიდა ჰასკალინა თან-და თან მალზე გაჯავრებით ელაპარაკებოდა.

ჰასუხის მაგიგრათ კანიტუჩი ქვითინით მიწაზე დაეცა. მას ჩიკკოტტო დაჭირებოდა.

— აი შე ბირშვო! დაუყვირა ჰასკალინამ — დაჭირებე?! მაშ ჩიკკოტტო დაჭირებე?! მე შენ გიჩვენებ სეირს. აი, ესეც შენ, ესეც, ესეც, — და კანიტუჩის ზედიზედ მიაეოლა მუჯლუგუნები, მუმტები და სილები. საბრალო თავს აძორებდა, ჭუკიროდა, მაგრამ არა ტიროდა. ბოლოს ჰასკალინა მოიღალა. ერთი მუჯლუგუნი კი-დავ წაჭკრა და ხრინწიანი ხმით უთხრა:

— ხომ იცი, რომ სამადლოთ გინახავ, თუ არ იპოვი ჩიკკოტტოს, ნურც შენ დამენახვები თვალით. არც ზურს გაჭმევ და არც სახლში ძემოგიშვებ. ეპდე აგრე ქუჩაში.

კანიტუჩი ბზუგუნით წამოდგა და ფეხ შიშველი გაემართა იქითქნ, საიდანაც მოსული იუო. ის გაუდგა ორლობასვენ სოფლის გზას, რომ მინდორში გასულიუო, თან აქეთ იქით იცქირებოდა და დაბალი



ხმით ჩიკვოტტოს უძახდა. უსაოულდ სახლში დაბრუნების დროს ჩიკვოტტო უკან ჩამორჩებოდა და ამ საცოდავს ვერ შეუმჩნევია. ახლა ამისთანა ბნელ ღამეში რასა ნახავდა!

გოგონას ფეხები სიცივისაგან სულ გალურჯებოდა, ისეთი შეწუხებული იყო, რომ ვერა გრძნობდა, უინგა როგორ უჭერდა. გზა ბნელაში მნელი ვასაგნები იყო, მაგრამ კანიტუჩს არ ეძინოდა, ის იმ ფიქრში იყო, როგორ იძოვოს ჩიკვოტტო. პასკალინას სიტყვები არ ავიწუდებოდა, რომ თუ ჩიკვოტტოს არ იძოვიდა — არაფერს არ აჭმევდა. კანიტუჩს-კი ისე შიოდა, ისე, რომ მუცელს რუსრუსი გაჰქონდა და საცოდავათ გაიძახოდა:

— ჩიკვოტტო, ჩიკვოტტო! სადა ხარ? მოდი ჩემთან, შენ კანიტუჩისთან. თუ მე ვერ გიპოვი მამიდა პასკალინა მშიერს მომკლავს. ჩიკვოტტო, ჩიკვოტტო! კანიტუჩი გავიდა დიდ ქუჩაზე, რომელიც თეთრი ქიოთ იყო მოკირწულული. პატარა გოგონა რაც მალი და ღონე ჰქონდა ევირილით გარბოდა და მისი ჩრდილი უცნაურათ ერთი ორათ წინ ასწრობდა.

— ჩიკვოტტო, ჩიკვოტტო, სადა ხარ!

გოგონას ხმა ჩაუწედა, ერთხელ ორჯელ წაიქცა კიდეც, მაგრამ წამოხტა და ისევ გაიქცა. ბოლოს მოესმა ნაცნობი ბაკიბუკი და ჩიკვოტტომ მხიარული ღრუტუნით ბავშვს დაუწევო ფეხებზე ხახუნი.

ჩიკვოტტო პატარა ლამაზი გოჭი იყო პირისფერი დინგით, მთლათ თეთრი, მხოლოდ ზურგზე ნაცრის ფერი ნიშანი ჰქონდა. კანიტუჩიმ ხიხარულით შეჭ-

ევირა და თუმცა დასუსტებული იქო, მაინც ხელში
აიევანა, გულში ჩაიკა და ისე გასწია სახლისკენ. ის
სიხარულით იცინოდა, ეალერსებოდა ჩიკკოტტოს.
გოჭი-კი მშვიდათ დრუტუნებდა. კანიტუჩის ხომ ახლა
მასცემდენ ზურს. მან შორიდანვე დაინახა ჰასკალინა
და ხმა მაღლა დაუკვირა:

-- კიბოვე, კიბოვე! ჩემი პატარა ჩიკკოტტო კი-
ბოვე!

გოგონა მიგარდა მოხუცებულს და დიდი ამბით
გადასცა გოჭი. ჰასკალინა იღიმებოდა, კმაულფილი
იქო, თუმცა ბნელაში არა ეტეობოდა-რა, თქმით-კი
გოგონას არაფერი უთხრა. ორივენი წავიდენ საღო-
რები, ჩიკკოტტოს მომზადებული დაუხვდა მთელი გო-
ბი საჭმელი. გოჭი გარგა გამოძია და დაიძინა.

კანიტუჩი შესცექოდა, როგორ გოჭი სჭამდა და
ტუჩებს აცმაცუნებდა. რა საშინლათ შიოდა, საბრალოს!
ის შეჭევა სახლში ჰასკალინას და მორიდებით ელო-
და საჭმელს. იმან-კი ჩვეულებისამებრ ხელში აიღო
ლოცვანი და მოჰევა მოსაწევენი ხმით ლოცვების კი-
თხვას. ემაწვილი დაქინებით შესცექოდა ჰასკალინას
და თან მუცელი ეჭირა ხელით, სიმშილით გრძნობა
ექარგებოდა, ბოლოს მოხუცებულმა ლოცვების კითხვა
გაათავა, წამოდგა, გამოიდო ერთი ნატეხი ზური და
ცივი ლობიოს კერძი. ეს იქო კანიტუჩის გახმაძი! გო-
გონა სარბათ მიგარდა, თითქმის შიგ ჩაჭერ თავისი ჭორ-
ფლიანი სახე მის დაგლევილ-დაკონკილ მიტკლის ზე-
რანგიდან მოსხანდა გამხდარი გულ-მკერდი. მოკლე, წი-
თელი ქვედა ტანიდან, რომელიც წელზე ბაწრით ჭქონდა

დამაგრებული, გამოიურებოდენ მისი გამხდარი კანკები. ზედა ტანი განუებული ფალასებისაგან ჰქონდა შეკერილი. კანიტუჩიმ ხის კოვზით ერთიანათ მოჭკრიფა ლობიოს მარცვლები, რომ არც ერთი არ დარჩენოდა შეუჭმელი. მერე მივიდა კოგასთან წელის დასალებათ.

— წადი, დაიძინე. უთხრა პასკალინამ და თვითონ მიუჯდა ჯარას.

კანიტუჩი წავიდა დასამინებლათ საკუჭნაოში, საღაც შემოდგომაზე ვაძლებს ინახავდენ. გაიხადა ქვედა კაბა და დამონშილი უვითელი საბანი წაიხურა. გოგონას მაშინვე მაგრათ ჩაეძინა.

პასკალინას კვლავისთვის ისე უნდა მოეხერხებინა, რომ ჩიკოტტო არ დაკარგულიყო — ამიტომ უნდა ბაწრით კანიტუჩისთვის მიება. კოჭი ისე, რომ ერთი მეორეს ვერ ვაძორებოდენ. კოჭი ზლაზვნით მისდევდა კანიტუჩს და მთელი დღე განუერებულათ მინდორში უნდა ერთად უოფილიყვან. საითაც უნდოდა ჩიკოტტოს იქით წააირევდა გოგონას და სანამ სახლში არ დაბრუნდებოდენ ერთი მეორეს ვერ სცილდებოდენ. საღამოზე ჩიკოტტოს საღორეში შეაგდებდენ. კანიტუჩი-კი შესჭამდა ჩვეულებრივ ციკ შეჭამადს და მიუგდებოდა დასამი ნებლათ.

ზაფხული რომ დადგა, დღეები გადიდდა. კანიტუჩი და ჩიკოტტო უფრო მეტ სანს იუგან ხოლმე ერთად. ირაურავებდა თუ არა ისინი გადიოდენ მინდორში; ჩიკოტტო ახლა უფრო ბევრს და ნოუიერს საჭმელს, მოულობდა: სხვა და სხვა ბალასის მარცვლებს, რკოს, ხეებიდან ჩამოცვინულ მწვანე ვაძლებს. და სხვა.

ჩიკვოტტო გაზარდა, გასუქდა. კანიტუჩი-კი ისევ ისე სუსტი და გამხდარი ბავშვი იუო. ხძირათ თავის განურელ მეგობარს უკან ჩამორჩებოდა.

— შოიცა, მოიცა ჩიკვოტტო, ხომ სედავ რომ გერ გმწევი, ქლოშინით ეუბნებოდა კანიტუჩი

ბოლოს აღარ იუო საჭირო ჩაკორტტოს მობმა, ის მორჩილი შეიქნა; კანიტუჩი მხოლოდ გრძელ წეს-ლას ხმარობდა, რომ ქუჩებში ეტლის ქვეშ არ მოჰეო ლოდა. ჩიკვოტტო რომ გაწვებოდა მინდორში დასა-მინებლათ, კანიტუჩიც ბალახზე მიწვებოდა და თუმცა სიცხე აწუხებდა, პირში ნერწევი უძრებოდა — მაინც არა შორდებოდა თავის მეგობარს.

მზის ჩასვლისას ორივენი ბრუნდებოდენ სახლში; გამამდარი ჩიკვოტტო ზლაზნით მოდიოდა ხოლმე მშიერი კანიტუჩი-კი ჩქარობდა.

კანიტუჩი მუდამ ემუსაიფებოდა ჩიკვოტტოს:

— წავიდეთ სახლში, დროა! შენ საღორეში შე-გიფეან, მამიდა ჩასკალინა მოგიმზადებდა კიდეც საჭ-ბლს, მერე შენ კანიტუჩასაც ერგება; ისე შესჭამს, რომ თითებსაც კი გაიღოვანს!

მინდორში წასვლის დროსაც ეტეოდა:

— ჩიკვოტტო თუ ჭიშვიანათ იქნება, არ ვააჯავ-რებს კანიტუჩს, ის წაიუვანს წითელ მთაზე, სადაც ბევრი გამლებია, კანიტუჩი სჭდმს თავის საუზმეს და და შენ-კი შეექცევი მწვანე ვამლებს.

შემოდგომას ჩიკვოტტო მალიან გაიზარდა და ერ-თობ გასუქდა. ერთხელ გოგონა წააქცია კიდეც. კანი-

ტუჩი გადგა განცე, აიღო დიდი ქვა და ესროლა ჩიკა-
კოტტოს. ეს იუთ მათ შორის ერთად ერთი ჩხუბი.

როდესაც შემოდგომის წვიმები დაიწურ, კანიტუ-
ჩი თავისი ჩიკოტტოთი სულ დასველებული და ტა-
ლახში ამოლაფული ბრუნდებოდენ სახლში. გოგონა
წაიფარავდა თავზე თავის წითელ ქვედა ტანს და ეუ-
ბნებოდა ჩიკოტტოს:

— გავიქცეთ ჩქარა, ჩემო კარგო ჩიკოტტო, ხე-
დავ როგორი წვიმა მოდის, შენი განიტუჩი გაიწურა
— სახლში დაუხვდება ცეცხლი, გათბება.

ხშირთ-კი სახლში ცეცხლი არ დაუხვდებოდა და
სველი გოგონა აიგანცე მიეგდებოდა დასაძინებლათ.
სველი გოგონა აიგანცე მიეგდებოდა დასაძინებლათ.
აქ უნდა შევნიშნოთ, რადგან ზაფხულში ჭირნახულის
მოუსავლობა იუთ, პასკალინა თან და თან უკმერი და
სელ მოჟერილი გახდა და განიტუჩის თან და თან სა-
დილს და ვახშამს უქლებდა.

ჩიკოტტო ისე გასუქდა, ისე დამძიმდა, რომ ად-
გილიდან კედარ იძროდა, კანიტუჩის აღარ უჯერებდა
და მუდამ ეხოში ჭუავდათ.

გოგონა რომ პირველათ მარტო წავიდა ტუში
ფიჩის მოსატანათ, აუარებელი რკო და ვაძლები მოუ-
ტანა თავის მეგობარს.

კანიტუჩი უოველ დილაობით ისე არ გავიდოდა,
სახლიდან და სადამოობით ისე არ დაბრუნდებოდა,
რომ არ შეეხედნა თავის ჩიკოტტოსთვის. მართალია
მას აშინებდა, ჩიკოტტოს სამინელი სისუქნე, ლონე,
მაგრამ მაინც მალიან უშესარდა თავისი გაზრდილი.

ერთხელ, შობის წინა საღამოს კანიტუჩი რომ

სასლში დაბრუნდა, ორი უცხო კაცი დაუხვდა; ისინი გაცხარებული რაღასას ელაპარაკებოდენ ჰასკალინას მმას, კლემანსოს; მერე ეველანი ერთად წავიდენ ჩიკოტოს სანახავათ და ოოცა დაბრუნდენ ხელახლად დაწყეს ხმა მაღლა ლაპარაკი. კანიტუჩიძ ვერაფერი ვერ გაიგო. მეორე დღეს მახლობელ სოფლიდან მოვიდა ერთი ესაბი. ეზომი და სამზარეულოში დიდი მოძრაობა, მისვლა-მოსვლა ატენა... დაანთეს უშველებელი ცეცხლი, მოიტანეს დიდი ქვაბები, ტაფები, ცეცხლ წინ დადგეს დადი მაგიდა, ზედ დაალაგეს ბევრი სხვა და სხვა ნაირი დანები, ერთი მათვანი მეტათ დიდი იუო. დედაკაცებმა აიგანწახეს გაბები, შემოიკრეს თვთორი წინ-საფრები. ესაბი თავმოწონებით წინ და უკან დადიოდა. კანიტუჩი აქეთ იქით გაიცირებოდა, მაგრამ კერას მიმსვდარიუო. ბოლოს, ოოცა დრო ჩაიგდო, ჰქითხა ტერეზას ჩუმათ:

— ჩვენსა დღეს რა ამბავია?

— დღეს სომ შობაა, ჩიკოტოტო უნდა დაგვჭირო.

ზარდაცემული გოგონა ზღაზღნით გავიდა ეზომი და კედელს ამოეფარა, რომ დაწესა მისს ჩიკოტოტოს როგორ დაჭკლამდენ.

მან დაინახა როგორ შეანათეს სანათი საღორები და ჩიკოტოტო გამოათრიეს. მან მორთო საზარლათ ჭევირილი, არ უნდოდა სიცოცხლეს გამოსალმებოდა. გოგონამ დაინახა როგორ ესაბმა დიდი დანა ჩასცხო, ბოლოს თავიც მოსჭრეს, დაუნის ფოთლებით მორთულ სინზე დასდეს, მერე ხაბრალო შუაზე გაჩე-

ხეს და ცალ-ცალკე ასწონეს. კანიტუჩის მოესმა კრთ
ხმათ ორგორ სიხარულით შესძახეს:

— ჩიკვოტტო გამოვიდა ოთხი ფუთი და ოცნა
ათი გირვანქა.

გოგონა გაუნძრევლად იდგა, თუმცა უინვა მალ-
ზე უჭერდა. ბოლოს მას სამზარეულოში დაუმახეს.

ტერეზა მესვებს სტენდა, კლემენტო ლორს აკე-
თებდა, ჰასკალინა ქონს ადნობდა. ეველა ფუსფუსებ-
და, ეველა მხიარულად ლაპარაკობდა. მუშაობით გამ-
თბართ და კმაულილი მოსალოდნელი გემრიელი სა-
ჭმელებით, ეველას სახე უბრწყინავდა. კანიტუჩი შედგა
გარებში.

ჰასკალინას მოაგონდა, რომ ამ შობა დღეს ემა-
წვილს დილას აქეთია არაფერი უჭამია. მოუჭრა ერ-
თი ნაჭერი ჰური, ზედ ჩიკვოტტოს ხორცი დასდო და
უთხრა კანიტუჩს:

— აიღე, სჭაძე.

გოგონა თუმცა მალიან მშიერი იურ, მწუხარებით
ჰირი მიიბრუნა, სახე ზე ხელი მიიფარა და სახლიდან
გავარდა.

ტახოსი.

(თარგმანი)



ობოლი ვანო.



რისტემობის ფივი ღღეა,
ქარი დაჭრის, დასისინებს,
სან ქოხმახებს მოაწედება,
სან ხმელ ფოთლებს აშიშინებს.

ფარდალალა ქოხში ვანო
მოჯდომიდა ჩამქრალ კერას,
სცივა ბედკრულს, სცივა მალზე
ტ გმობს, სწეველის ბედის წერას.

დედა არ ჰევგა... მამა სადღაც
სამუშაოთ შორის წასულა...
თვით-კი მარტო დარჩენილი,
საცოდავათ მობუზულა.

თოთის, ქანკალებს შიშისაგან,
ათასი რამ ელანდება:
აგერ ტურა... აგერ ქაჯი...
აგერ ბუა ვით მომვრება.

სად წავიდეს? ვის მიმართოს?
ვინ მიიღებს, შეიფარებს?

უპატრონოს, ვინ მიხედავს?
უბედურს, ვინ მეიუვარებს?

ფიქობს... და თან აგონდება,
როს ეპვროდა მკერდში დედას,
აგონდება და... ქვითინებს,
ვეღარ იტევს გულში სევდას.

ცა-კი სტირის, იცრემლება,
მავ ღრუბლებით დათალსული,
თითქო ვანოს თანაუგრძნობს
და იმისთვის უწუსს გული.

დღესასწაულის დღეები გვიდგება!



ემურებოდა სახლში დაბრუნება. თავს
კარგათ არა ვგრძნობდი. ავედი თუ
არა მატარებელში, მამინათვე მოვ-
ნახე ჩემთვის მეუდრო ადგილი, კა-
რები ჩავიგეტე და დავწექ დასაბინებ-
ლათ. მატარებელი აკეანივით მარწევდა და მალე ტკბი-
ლათ ჩამეძინა.

უცბათ საშინლათ შევინძერი, რაღაც ხმაურობაც
მომესმა, თავი ავიღე მაღლა, თვალები დავაჭუიტე და
კარებში დავინახე ვიღაც თეთრ წვერიანი მოხუცებუ-
ლი, შეთოვლილი უაბალახით და ნაბდით. მას აუა-
რებელი თეთრი ჰარკები ეჭირა ხელში, მის გარშემო
ქალები და ბავშვები ტრიალებდენ.

საშინლათ გაბრაზებული შევძახე:

— აქ მეორე ჭლასი გახლავთ — ქალების მოსა-
სვენებელი.

ჩემ გვერდით ვიღაც დაბალი ტანის კაცი დავი-
ნახე და იმან მითხრა:

— ჩვენც გარგათ ვიცით, ქალბატონო, აქაური
წესი. მოისვენეთ, არ შეგაწუხებთ.

შევხედე ამ კაცს — გზის მოხელე იუო — რა მე-
თქმებოდა.

მოხუცებულმა დაუწეო სხვა და სხვა ჰარკების მი-
წოდება და რკინის გზის მოხელე ეპელაფერს ბადები
ალაგებდა.

— დღესასწაულის დღეები გვიდგება, ბალლებს ქალაქში სოფლური სანოვა გე უგმლაფერი იამებათ, თოთქოს ბოდიშით ამბობდა მოხუცებული

— კვასი, კვასი ისე ჩედეთ ბადები, რომ პარკები არ დაგვიგლიჭოს, წრისანით თქვა ვიღაც დედატაცმა.

რას გავაწეობდი ამათთან, შეწებებული გადავ-ბრუნდი მეორე გვერდზე და კვლავ ძილს ძივეცი თავი.

არ ვიცი რამდენი ხანი მემინა, — უცბაი შემომესმა:

— შენ კი, ტიდაცა კვასი ხარ, გვერდები ნუ ჩა-მომაცალე, ნუ მაწვები, ჩემი პარკი ლაიხევა და სი-მინდის ფქვილი დაიძნება.

— ძალიან არ ვინაღვლი, უჭადოთ ვეღარაფერს მიირთმევენ ქალაქში, მე შენ ვითხრა!

— თუ საქმე მაგაშია, კვასი რიღას მაქნისია, ან მაგის ჭამის მუშტარი ვინ არის, რომ მაგისთანა სიმ-მიმეს მიგათორევენ.

— ნურას უკაცრავათ, ცივ ჭადს აბა როგორ შე-ედრება! არ გინახია ბალლები რომ ცეცხლს მოუჯდე-ბიან და მოუთმენლათ ელან კვასის შეწვას? მერე ერთმანერთს რომ არ აცლიან პირის ჩატყბარუნებას. მაგაზე რადას მიბრძანებ!

— დაჩუმდით, რა ჩხური გაქვთ. წითელ ლობიოს ვერავინ ვერ წაუდგება წინ. შობამდის ხომ ჩემი მე-ფობაა! დიდს, პატარას, მოხუცებულს... უკელას უ-ვართ ჩემი გემო. ქალაქ ადგილას ხომ მაზათ მივაჩ-ნივარ, უკელანი ერთმანერთს პატიუღობენ, არის ერთი ამბავი და წვეულობა, ამბობდა ლობიო თავის პარ-კიდან.



— აგრე არც შენ უნდა იკვეთოდე, სომ იცი რომ
უნიგოზოთ არაფერი შეიღი შენ არა ბრძანდები. თუ
ჩემით არ შეიკაზე გემოს ვერავინ ჩაგატანს, უთხრა
ნიგოზმა.—ხომ გაგეგონება რა სასარგელო რამე ვარ.
საცივს გაგეთებენ—ნიგოზი უნდა უეოთ. კაკლის მუ-
რაბა ხომ უკელვან განთქმულია, კაკლები რის—და
ვერცხლით და ოქონთი ჰურავენ და შობის სეს მო-
სართავათ ჰყიდებენ.

— ვინც რა უნდა თქვას ჩემისთანა კი ვერავინ
იქნება. მთელი დიდი ქალაქი რომ მოატაროთ ღომს
ვერსად ვერ იძოვით. ღღესასწაულებში არაკინ რჩება
უთევზოთ და ცხელი ღომი კი რა რიგ ამშვენებს
თევზსაც და სუფრასაც.

— რა ბატონობაა, რომ მოსვენებას არავის აძ-
ლევთ! იკითხა ვიღამაც

— ეგ ვიღაა, ვინა ლაპარაკობს! წამოიძახეს ერთ
ხმათ უკელამა.

— მე გახლავარ ჯანჯუხა, გურული ჯანჯუხა,
ზემო იმერეთში მემახიან გოზინავს, და ქართლ-კა-
ხეთში ჩურჩხელას. უკელას საუგარელი ვარ, დღესას-
წაულების მოთავე მე ვარ, უკელასათვის სასურველი
და სანატრელი.

— დაჩუმდი, დაჩუმდი მე ებედო! უნიგოზოთ,
უნუშოთ რას მაქნისი ხარ! გროშა არა ღირხარ!
შეჰქვირეს ერთ ხმათ უკელამა.

ატედა ერთი აურ-ხაური. კვახი იწეოდა შარკებ-
ზე. ევიროდა, ტრაბახობდა: არ იცით რომ მე ქართ-
ლში გოგრას მემახიან? რად მიძახიან, ალბათ იძი-

ტომ, რომ კაცის თავს შგეხარ და მალიან ჭკვიანი გარ.

ეველა იწევდა ტრაბახისკენ საცემრად, ერთბაშათ საშინელი ბრაჟვანი მოისმა.

გამეღვიძა, ზეზე წამოვსტი, რადაც სასწაულით გადავრჩი. ზემოდან თურმე კვახი ჩამოვარდნილიერ კინაღამ თავი გაპიჭელიტა.

ან. წერეოლისა.



ერთი ზღარბის თავგადასავალი.

ბუძგების ბეჭი.



აფხაზები იწყებოდა. ფოთლები სცვიოდენ, ტევ იცრცვნებოდა, ადრე ჩადიოდა მხე, ადრე დგებოდა ცივი დამე.

ახალგაზრდა ზღარბები უკვე ფიქრობდენ საზამთროდ მოწეობას: ისინი მშობლების ბუნავში თავიანთ თავს შეიდროდ გრძნობდენ, ბებერი ზღარბებიც ლაპარაკობდენ, რომ დრო იქო მათი შვილები ცალ-ცალქე დაბინავებულიერები.

შირველათ „დიდი“ მოეწეო. იგი გაემგზავრა ბინის საძებნელად, და იპოვნა საქმაოდ ორმა თრმო ბუქების ძირას. მავრამ რადგანაც „დიდს“ სიფართოვე უგეგრდა, დიდის გაჭირვებით დაუწეო თხრა ორმოს თავის მოუსვენარი თათებით, გაუდიდა სიგრძე — სიგანე და შემდეგ გაუკეთა ორი სავალი. გზა. ახლა ფოთლებით უნდა მოეფინა ბუნავი, რომ მისი მჩხვლეტავი სხეული თბილათ და რბილათ ეოფილიერ. დიდსანს არ წვალებულა „დიდი“, — ტევილათ-კი არ სცემდენ ჰატიგს და აფასებდენ მას მშობლიურ ოჯახში. იგი გაემგზავრა ტევში, იპოვნა მთელი გროვა სმელი ფოთლებისა და დაიწეო ზედ გორაობა ეოველის მხრით. ფოთლები ეკლებზე აესხენ ზღარბს და ამნაირი არაჩვეულებრივის მორთულობით დაბრუნდა თავის ბუნავში. ბევრჯელ მოუხდა ზღარბს მგზავრობა ფო-

თლებზე, ვიდრე არ შეაგროვა საკმაოდ, „დიდმა“ რიც
გიანათ მოჭირინა ფოთლებით თავისი ბუნავი, ზემო.
დან ფიჩხი დააწეო, მიაფარა ფოთლები და ბუნავი
მხათ გახლდათ.

ბუნავის შენების ღროს „დიდს“ ჟამაც-კი ავი-
წედებოდა, რის გამოც ცოტა არ იქო გახდა. უნდა
შეევსო თავის დანაკარგი, გამოგვებულიერ კარგათ
და შეძლებ მიწოლილიერ თავის მომხადებულ ბუნავ-
ში სამთრის ძილისთვის.

„გაუმაძღარი“ - კი ამასობაში რაც შეეძლო იჩხო.
რავდა მაჭიკს; მას ღრო არ ჰქონდა ბუნავზე ეზრუ-
ნა, თუმცა მამა და დედაც ერთხელ არ აგონებდენ მას,
რომ ღრო იქო პატივი სცოდნოდა, მაგრამ იგი სულ
საკვლაოთ სტავებდა.

ერთ საღამოს „გაუმაძღარი“, ჩეეულებრივად გა-
ვიდა სასადიროთ. ბნელოდა, ციოდა და ჯანეი იდგა.
ეტეობოდა უველა ცოცხალი ქმნილებანი მიჩქმალუ-
ლიუვენ. აუტი კალიები აღარ ჰრიძინებდენ, ბუნა-
კლები არა ბზუოდენ, პეტელები აღარ დაფრინავდენ
უგავილიდან ეგავილზე, უგავილებიც-კი უველანი დამ-
ჭერიუვენ. „გაუმაძღარი“ მაინც ერთგულად სთხო-
და მატლებს, დაქმებდა ლოკოკინებს. მის ზემოთაკი ვეკ-
ბერთელა ფრინველი იჯდა მოკაკულ ნისკარტით და
გეება რგვალ თვალებს აბრიალებდა. მან უკმი კა
სანია შენიშნა ზღარბი და მხოლოთ მოხერხებულ
წუთს-და უცდიდა, რომ სელში ჩაეგდო თავისი მსხ-
ვერჩლი.

უკრად რაღამაც დაჭირვლა ზღარბს ზემოდან; იგი



სწორაფად დაქცევა გორგალსავით და თვის უნებურად აიწია ჭავერმი, ჭოტის ბრჭეალებიან ფეხებმი ჩაბლუ-ჯულმა.

„გაუმაძლარი“ ბალზედ შემინდა და არც-კი გაუ-
გია, თუ ჭოტმა ოოგორ გადაულაპა იგი მთლიანია,
გაუჭირვებლათ.

ასე მწუხარედ გაათავა თავისი მოკლე სიცოცხლე
„გაუმაძლარმა“.

ჰატარა „მშიშარამაც“ ბევრ სანს არ იცოცხლა
მშობლიურ ბუნაგში და ქვეყანაზე. მამას არ უვარ-
და ზარმაცი და მშიშარა შვილი; იგი აგდებდა მას
ბუნაგიდან, „მშიშარა“ კი სულ დედას ემუძგებოდა,
რომელიც იფარავდა მამისაგან და მხათ იუო თავის-
თან შეენახა მთელი ზამთარი საუკარელი შვილი. მა-
მას გაგონებაც არ უნდოდა ამისთანა უსამართლობაზე
და წაქეზებაზე.

— და თვითონ მოეწეოს, საუკუნეს სომ არ
იცხოვორებს მშობლიურ ბუნაგში! აგდებდა შვილს ბე-
ბერი ზღარბი.

რა უნდა ექნა! გაუმიგზავრა ჰატარა „მშიშარა“ ბი-
ნის სამებნელად. ტექში-კი ისეთი სამინელება იუო,
მთელი დღე აურზაური იდგა, ისმოდა მაღლის უ-
ფა, — დედა ეუბნებოდა, რომ სალხი ნადირობს კურ-
დღლებზეო. მართალია, საღამოთი სულ მიწენარდა,
მაგრამ საღღაც გიდეგ უეფდა მოუსვენარი მაღლი.

„მშიშარა“ უოველ ნაბიჯზე შეხტებოდა სოლმე ფე-
ნის სმაზე, ტოტების ჭრასუნზე. და ოოგორ შემინდა
იგი, როდესაც გაიგონა მასლობლად მაღლის უეფა.

ხსნა არ იყო. იგი სწორად შეგორგოლავდა და
ისე მიწვა ცოცხალ-მკვდარი. მონადირე-ძაღლმა შე-
ნიშნა საძაგელი ხადირი და გაბრაზებული მივარდა.
იგი კბილებით ებლაუჭებოდა მას, მაგრამ, მხოლოთ
ენა და ცხვირი ეჩჩლიტებოდა და ტკივილისაგან
უფრო ცოვდებოდა. გაალმასებული ჰეთუდა იგი,
წკმუტუნებდა, ვარდებოდა ზედ, მაგრამ ბურთი გაუნდ-
რევლად იდო და ეს გაუნდრევლობა უფრო მეტად
ანრისხებდა ძაღლს. ბოლოს მან მოიფიქრა, თუ რო-
გორ დაქმარცხებინა მტერი. მაღლმა წაჭერა ზღვარბის
თაორ,—იგი დაგორდა; ზღარბი თან-და-თან მიგო-
რავდა, უკრიად მან იგრძნო, რომ რაღაცა ციგი ჩა-
სდიადა ეკლებში და ეხებოდა მის სხეულს. სწორად
გაიძალა და დაინახა, რომ წუმპები წევს, მას კი
თავს ადგია უზარ-მაზარი დევი დაღრენილი პირით.
მოვიდა უბედურ „მშიშარას“ აღსასრულიც. ერთ
წამში დაჭირიჯა, ბოროტმა ძაღლმა და მიატოვა
წუმპები*)

დედა-ზღარბმა, თითქოს იგრძნო უბედურება: იგი
გაემგზავრა თავის საუგაზელის კვალზე და მხოლოდ
უსულო სხეული-ღა იპოვნა; ზღარბმა დიდათ იწუ-
სა, მაგრამ რას მოუმატებდა! დაბრუნდა თავის მო-
სუცთან, რომელიაც უკელავერი დავიწევებოდა და
ღრმა მილით ეძინა. თან-და-თან დედა — ზღარბსაც
ჩასთვლიმა. კრძელმა ზამთრის ძილმა შეიცერო ისიც,
დაავიწევდა შვილებიც, თავისი მწუზარებაც, საჭმელიც,

*) ასევე ეპურობიან ზღარბებს შელებიც.

შექვიდა გორგალსავით და რდმათ ჩაიძინა გაზაფხულის ღდევების მოლოდინში.

რაღაც აკეთებდა ჩვენი მეოთხე ზღარბი, ჩვენი „შეუპოვარი“? როგორი ბედი ეწვია იმ შენე ზღარბს? იგი კაი ხანია წავიდა გმირული შემთხვევების სამებნელათ. მას სწადდა ეპოვნა მშობლების ბუნავჭე უკეთესი, მომარჯვებული ბინა, არაფრისა არ ემინოდა, უკელაფერზე მხათ იუო.

უიქრებში გართულმა ვერ შენიშნა, თუ როგორ დაეჯახა ვიღასიც ფეხებს. იგი შეშინდა შექვა გორგალსავით. შემდეგ მან იგრძნო, რომ აიუვანეს, ჩასვეს რაღაშიც და წაიუვანეს. დიდხანს მიჰეავდათ იგი ნკლოევით, გორავდა, რაღაზედაც ეცემოდა. ბოლოს მან გადასწევიტა, რომ ბავშვებს ჩაუვარდა ხელში, შეთხუპნეს თიხით და ძალე შეწვას დაუწეუბენ.

საქმე არც მაგრე საშიშო იუო: სოფლებლმა ბიჭმა იპოვნა ზღარბი და კალათაში ჩასვა, იმ აზრით, რომ ეგებ გისმეს მივერდოო.

ზღარბი გაეცნო ხალხს.

ზღარბი მთელ ლამეს გაუნდოებლად იწვა კალათაში, მეორე დილას-კი ისევ ისე წაიუვანეს. სადღაც ქალათით.

რამდენ ხანს იმგზავრეს მნელი გამოსაცნობი იუო. ბოლოს ემაწვილმა გაჟურდა ზღარბი ერთ აბაზათ და ახლა მან იგრძნო, რომ სხვა ბედში ჩავარდა. იგი აღარ გორავდა აქეთ-იქით და რაღაშიც ჩასდეს. გარშემო ისმოდა უცნაური ხმები და შიშით ვერ გამლილიეო.

ზღარბი მავიდაზე იწვა. მას გარშემო ბეჭრი საფუა ხი ეხვია. მის ახლოს მშენებელი ქერა-თმიანი გრა-გონა იდგა და ცნობის მოეგარეობით ათვალიერებდა უცნაურ ნადირს; გოგონას გვერდით იდგა მისი სქე-ლი, წითელ-ლოუებიანი მძა, რომელსაც გაკვირვე-ბისაგან პირი დაეღო; მამა, დედა, ღიღედა და მზა-რეული ქალი პრასკოვია, — ეველანი გაჩერებულიუგენ და ათვალიერებდენ ექლიან ბურთს, რომელსაც არ უნდოდა ეჩვენებინა თავისი სიმძვენიერე.

— განა, ღირდა ამისთანა საძაგლის შემოუვანა! ვადაჭრითა სტება დიდებამ, გაისწორა სათვალეები და ჩაჯდა სავარმელში წინდის საქსოვად.

— სწორედ ბძანებთ, ქალბატონო, ჭუჭეის მეტი სახლს არაფერი მოემატება, წარმოსთქვა მზარეულმა ქალმა, და ბურტეუნით გავიდა.

ბავშვები შიშით შესცეკროდენ მმობლებს, რომ ამათაც არ დაუჭირათ დიდებას და მზარეულის მხარე. მამა მიხვდა მათ ჩუმ შეკითხვას და დასამშვიდებლათ უთხრა:

— ზღარბი ცუდი არ არის: ზღარბი კითილი, მშვიდი ამხანაგია; იგი პატიოსნად, წენარათ ატარებს სიცოცხლეს მრომაში და ზრუნვაში; იგი არა სჭამს მუქთად ჰურს, და თქვენ დაინახავთ რამდენ სარგებ-ლობას მოგვიტანს ჩვენი მჩსვლეტავი მუგობარი. ახ-ლა პრასკოვია დაუსვენებლივ ეომება შავ ჭიებს, მაგ-რამ ვერა მოუხერხებია-რა მათოვის, ზღარბისკი ერთ კვირაზე მუსრს გაავლებს. დიდება ჩივის, რომ თა-გვები აფხავუნებენ მის ოთახში, — მეუშვათ მასთან



ერთ დამეს ზღარბი და ხელიდ გასწევებავს ძთლად
იმის თავვების სამეფოს. მხოლოდ არ უნდა შეაშრ-
ნოთ ზღარბი, და შეეჩვითს თავის მდგომარეობას,
და თქვენ დაინახავთ, თუ ოოგორი შესაქცევი, საუკა-
რელი ნადირია.

— მამილო, ოატომ არ გაიშლება? მე მინდა ვნა-
ხო, ოოგორია! ამბობდა ნატო.

— ზღარბის თქვენი ემინია, — უთხრა დედამ: —
ისხედით მძვიდათ, ნურაფერს ნუ ილაპარაკებთ, და ე
სრული სიჩუმე იუვეს, და ზღარბის გაიშლება.

ბავშვები მიჩუმდენ და თვალს არ აშორებდენ ეჭ-
ლებიან გუნდას. ისმოდა მხოლოდ წინდისნეირების
ჩხაკუნი დიდების ხელში და საათის რაკა-რუკი.

ამნაირმა სიჩუმემ მოატეუბ ზღარბი; ამის გარდა
სწადდა გაეგო, თუ სად იმუოფებოდა იგი, ოისთვისაც
მაღა-უნებურად გაიშალა.

ზღარბის აუთოროლდა ეჭლები, გაინთავისუფლა
თათები და წამოდგა მაგიდაზე. გამოჩნდა დანაოჭებუ-
ლი, მრისხანე დინგი, მაგრამ ოთხი ისეთი ლამაზი
თვალები შესცეკროდენ მას, ოომ ზღარბის დინგი
გასწორდა და თვისი ჩვეულებრივი უზრუნველი გამო-
ხატულობა მიიღო. ზღარბმა უცქირა, უცქირა და გას-
წია მოკლე ნაბიჯით სასადილო გრძელ მაგიდაზე.

— დედილო, მამილო, დიდები! ევიროდენ ბავ-
შვები აღტაცებით: — ბუძი დარბის, დაინახეთ!

ბავშვების უვირილმა შეაშინა ზღარბი, და ისევ
შეიხვა; მაგრამ ამან დაისხნა განსაფრდელისაგან, ერ-
თი წუთიც და იგი იატაჭე დაეცემოდა.

— აშ საათში წამოვაენებ, ჩვენ მას ცოტა ტყბილი არაუი დავალევინოთ, და ის ხვალამდის მოძინაურ-დება კიდეც! სოქვა მამამ.

ბავშვები მოემზადენ სასურველ სანახაობისთვის. დედამ მოიტანა ბადიით სასმელი მამამკი მოუკიდა ჰაპიროსს და შეაბოლა თუთუნის ბოლი ზღაპრბის ეკლებში. ერთ წამში გაიშალა ზღაპრბი. მან ერთ წამს იგრძნო სასმელის სასიამოვნო სუნი და, მოურიდებ-ლად დალია მთელი ბადია. მისმა თვალებმა ბრწეინ-ვა დაიწეეს, იგი სასაცილოთ ბორმიკობდა, ეირამა-ლა გადად-გადმოდიოდა, ეცემოდა ხან აქეთ, ხან იქით და ეტეობოდა უნდოდა ეგელასათვის ეთქვა: „მომეცა-ლეთ გზიდან“.

იგი თან და თან სუსტდებოდა, თვრებოდა, ბო-ლოს დაიძანა, ასე რომ შეიძლებოდა მისი ხელში აუგანა, ჰირის დაღება, ხელის წასმა,— ზღაპრბი არ ინძრეოდა. მაშინ ჰალიკომ ჩააწეინა ფართო კალათში, სადაც ხატომ დაუმზადა ზღაპრბს რბილი საწოლი.

12 საათის შემდეგ გამოეღვიძა ზღაპრბს, თითქოს არაფერი მომხდარიელის. მან იგრძნო თავი კარგათ, სრულებით ისე, როგორც ტუეში, მით უმეტეს, რომ დამე იუო, ბავშვებს და დიდებს ემინათ და სახლში სრული სიჩუმე სუფევდა.

ზღაპრბი ამოვიდა კალათიდან, რომლის მახლობ-ლათ იატაკზე რძე და ჰური იპოვნა და სიამოვებით შესჭამა; შემდეგ მან მზრუნველობით შემოირბინა ევე-ლა ოთახები და ეცნობოდა ახალ საგნებს. მთელ



დამეს ისმოდა მისი მოუსვენარი ფეხების ბრაგუნი იატაკზე. სიჩუმე და სიბნელე იუთ უშეს გან, მარტო დიდებას ოთახში ბეუტევდა კანდელი და ისმოდა თა- გვის ფხაჭუნი. სწორეთ იქით გაემურა ჩვენი ზღარ- ბიც ნადირობის წინაგრძნობამ გააძერა იქითკენ.

ამოხტა თუ არა თაგვის წრეუწუნა სოროდან, ბო- როტ გაბედულობით მოეწია ძას ზღარბი, მარტო თაგვის წრეუწუნი და კმაროფილი ბურტეუნი ზღარბი- სა უჩვენებდენ, რომ მსხვერპლი დაჭირა მონადირეს.

მეორე დღეს ზღარბი აღარ ერიდებოდა ხალხს. თუმცა, როცა მასთან მიღიოდენ მრიელ ახლოს, მუ- ბლზე წამოიფარებდა ხოლმე ტუავს, კიდეც ძეეჭველა, მაგრამ დიდ-ხნობით კი არა. ბავშვებმა შენიშნეს, რომ ეოველს სასტიკ ხმაზე ზღარბი ფრეტუნებდა და შუ- ბლზე ტუავს იჭიმავდა. მეტის-მეტი სასაცილო იუთ ამ დროს: იგი თითქოს თავს უკრავდა.

— ბუმგუნი, თავი დაგვიკარ! უყბნებოდენ ბაგვე- ბი; ზღარბი ფრეტუნებდა, იჭიმავდა ტუავს, როცა გაიგონებდა სტვინას ან ზარის ხმას უურთან.

ბოლოს დაინახა, რომ მას აჯავრებდენ და უ- რადღება აღარ მიაქცია გასაგულისებელ ხმებს, სგამ- და რძეს ან მოუსვენრათ დარბოდა ოთახებში.

ზღარბი სრულიად შეეთვისა სახლსა და ხალხს. დამით იგი ნიდირობდა შავ ჭიებზე და თაგვებზე, რომ- ლებიც მრავლად იურ საშზარეულობი.

ზრასკოვია ამაოთ აურიდა შავ ჭიებს ბავრუკს, ამაოთ ჰევესდა ფრანგულ მწვანილით, ჰუფუქავდა მდუღარე წელით, მაგრამ შავი ჭიები მრავლდებოდენ

დღითი დღე. ოოკორ გაუმცდა პრასკოვიას, ოოცა
ნახა რომ ზღარბმა ერთ კაირაზე სრულიად მოსმო
შავი ჭიები. ახლა არ აძოოთებდენ პრასკოვიას არც
მარდი აბანოს ჭიები, არც შავი ჭიები. პრასკოვია
თუმცა ჩვეულებრივად ბურტუნებდა ზღარბზე, მაგრამ
ძრიელ აფასებდა მის გარჯილობას და სმირნად აძ-
ლევდა თალგამს, სტაფილოს, კომბოსტოს მერქებს,—
საზოგადოთ უველა ტკბილეულობას, რაც-კი მის ხელ-
ში გაივლიდა. ბავმვები სომ, თქმა არ უნდა ანებივ-
რებდენ ზღარბს. ისინი არ შეწამდენ არც ერთს თაფ-
ლის პურს, არც ერთს ვაშლს, რომ არ ეწილადების
ნათ თავიანთ მჩხვლეტავ ამსანაგისთვის.

ერთ მშვენიერ დღეს ზღარბს უეცრად მოუსვენრო-
ბა დაეტეო. იგი დარბოდა კუთხიდან კუთხეში, ოთა-
სიდან თახაში, თითქოს დანაკარგს დაეძებსო, ბოლოს
დამშვიდდა, როცა იპოვნა ბნელი კუთხე ღვიძელს
იქით, სასაძილო თახაში.

ერთხელ მთელი ოჯახი დილის ჩაის შემქეოდა
და მეტად გაუგვირდათ, როდესაც დაინახეს დიდებულად
შემოსული ზღარბი ვარდის ფერი ბანტით კბილებში.

— ბუმგუნ, ბუმგუნი შე საძაგელო, ჩემი ბანტი
აგილია! დაუკვირა ნატომ; მაგრამ ზღარბმა უურადღე
ბა არ მიაქცია გოგონას კვირილს და გულ-ბრილად
მიიტანა ბანტი ამონიმნულ კუთხეში.

— ჩუმათ, ბავმვებო, თავი ანებეთ ზღარბს, იგი
ბუნაგს იკეთებს.

ნინო ენუქიძე.

(თარგმანი)



ს ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ი.

(სოფელ ბეთლევში გაგონილი ქულბაქიანის მიერ)

ლმერთმა მოგცეს ბევრი, ბევრი!!

კალთ,— პური, სებისკვერი!!!

ჯიბუში ფული,

ბელელში პური.

გამრავლდეს შენი ოჯახი,

გამრავლდეს შენი ერია!

დასასრულ გეტყვი: უფალმა

მოგცეს სვე ბელნიერია!!!

გ ა მ რ ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი ან. კაპანაძის მიერ)

წითელი ქვევრი, შავი სარქველი,

შიგ ჰყურია ხაშირ-ხუშარი.

გაუთლელი ჩხირი,

გაუცრელი ფქვილი,

უნაკერაო პარკი.

ა რ ღ ს ტ ი ხ ი.

(წარმოდგენილი ლადო გებეჭებრისაგან)



ი, ვაუკაცი, მამაცი, ხელობით ღიღი მგოსანი;

კაცობით ერში განთქმული, მხურვანი-პატიოსანი;

არ შეედრება სხვა ვინმე, გვამშვერებს ვითა სოსანი,

კარგ აზრს ქადაგებს, პირად მზე თვალადათ ტანადოვანი.

იშვიათია დღეს ქვეყნათ მისებრი კარგი მეოსანი!

ა ხ ს ხ ა გამოცანისა: ირემი, მაგიდა.



ქ თ ბ ა.



არსკვლავმა მორთო ციმციმი,
მთვარეებ შესკინა მიღამოს;

ანგელოზები გალობდენ
საგალობელსა საამოს:

„ნუდარ ლონდებით, იხარეთ,
იშვა იქსო შხენელიო;

გზა დაბნეულთა, ობოლთა
შემწე და გამომხენელიო!

მღვიმე ირჩია მან ბინად
და ფიცრის ბაგა აკვნათო;

ზედ დასდგომია ბრწყინვალე
ნათელი მრავლის მრავლათო!

გული ყველასთვის ერთი აქვს
უხვად სუემს მოწყვალებასო;

გვაგებებს კველას სიაშეს,
გვაგებებს ნეტარებასო!

მისი ხმა მძლე და მეტყველი
აწ მოედება ველათო;

მოვისმენთ ძმობის ღალადსა,
ვიცხოვრებთ სანატრელათო“!

ანგელოზების ღალადი
მწყემსებს ეგონათ ჩვენება,

მაგრამ დარწმუნდენ, რომ ნახეს.
მღვიმეში ლვთისა მშვენება!

ლალო გეგეჭკორი.

გერცხლის მაღნები.

შედელი შწერალი ქალის სეჭიმა ლაგერ-ლეფისა
(დასასრული)



ღვდელი რომ ბრუნდებოდა თავის სამრევლოში,
განაგრძო მოამბემ, იფიქრა რომ ყველაზე უწინ
ჩემ ამხანაგებს უნდა შევატყობინო, რომ ნა-
პოვნი მაღანი ვერცხლი გამოდგაო. რაღვან
მას იმ გზაზე უნდა გაევლო, სადაც სტენსონს
დუქანი და ლამის გასათევი ბინა ჰქონდა, ამი-
ტომ შექხვია იქითკენ, მაგრამ როდესაც გაჩერდა და შეხედა
სახლს, ნახა რომ ფანჯრები სამგლოვიაროთ ჩამოფარებული
იყო და სახლთან მიმავალ გზაზე ღვია იყო დაფენილი.

— ვინ მოკვდა? ჰკითხა მან გაკვირვებით ერთ ყმაწვილს,
რომელიც ღობესთან იდგა.

— თვითონ აქაური უფროსი! უპასუხა ყმაწვილმა და
უამბო, რომ ამ მთელი კვირის განმავლობაში იმდენ არაყ
სყამდა, იმდენს, რომ გასაოცარი იყო.

— რატომ გოხდა ასე? დაეკითხა გაოცებით მღვდელი,—
მაგას წინეთ ჩვეულებათ არა ჰქონდა არაყის სმა!

— ის ყველას ეუბნებოდა, რომ ძირტასი მაღანი ვიპო-
ნეო, განაგრძო ყმაწვილმა,— ახლა მდიდარი ვიქნებიო, არაფრის
გაკეთება არ დამჭირდებაო, უნდა ვსვა და ვსვაო. წუხელი საღ-
ლაც წავიდა ნასვამი, გაღიჩება და მოკვდა.

მღვდელმა განაგრძო შინისაკენ გზა. სტენსონის ამბავმა
ძალიან შეაწუხა, ეგონა რომ თავისი ამხანაგებს სასიამოვნო
ამბავს მოუტანდა.

ცოტა რომ გაიარა, შეხვდა პიერ პერსონი. მან დაი-
ნახა თუ არა მღვდელი გაემართა მისკენ; მღვდელმა სიამოვნე-
ბით გაიფიქრა: ეტყობა ამაზე არ უმოქმედნია მაღნების პოვ-
ნას და ახლა ვახარებო ჩვენს ბეღნიერებას.

— გამარჯობა, მამაო, ქალაქიდან მოღიხარ? ჰკითხა პერსონმა.

— იქიდან მოვდივარ, უნდა გითხრა რომ ჩვენი საქმე

უფრო კარგათ არი, ვიდრე მოველოდით. იქ მითხრეს რომ ჩვენი ნი ნაპოვნი მაღნები ვერცხლია.

ერთ წამს პერსონი ისე გაფითრდა, თითქოს დედა-მიწა ეს არის ახლა გასკდაო და შიგ ჩიტანსო.

— რა თქვი? გაიმეორე, ვერცხლიო?

— სწორეთ ვერცხლი, უპასუხა მღვდელმა — ჩვენ ეხლა მღიღები ვართ და 'შეგვიძლია ბატონურათ ვიცხოვროთ.

— მართლა ვერცხლი ყოფილა? განმეორებით იკითხა პერსონმა და საშინელი მწუხარება დაეტყო სახეზე.

— რასაკვირველია ვერცხლია! ხომ არა გგონია, რომ გატყუებ? გაიხარე, გამხიარულდი.

— გავიხარო? რაზე უნდა გავიხარო, მე დარწმუნებული ვიყავი, რომ არაფერი გამოვიდოდა და ჩემი წილი შივუიდე ოლაფ სვერდს ას ტალერად.

საშინელ სასოჭარკვეთილებაში ჩავარდა მღვდელი. იგი კარგა შორს გასცილდა, მაგრამ პხედავდა რომ პერსონი იდგა ერთ ადგილას და ტრიოდა.

დაბრუნდა თუ არა მღვდელი სახლში მაშინვე შეუთვალია ძმათა სვერდებს, რომ ნაპოვნი მაღნები ვერცხლი აღმოჩნდათ.

საღამო ეამს, როდესაც მღვდელი დარჩა სახლში მარტო, სიხარულმა ხელ-ახლად გაიტაცა ის. ბნელაში გამოვიდა გარეთ და გადახედა გორაქს, სადაც მაღნები ეგულებოდა. აი ამ ადგილას საეკლესიო სახლს დავდგამო, ოცნებობდა ის. მის სამრევლოს გვერდით უთუოდ გაშენდება დიდი ქალაქები, მაშინ ხომ ახალი საყდრის აშენება დაგვჭირდებაო. ამას-კი მოუნდება ბლომათ ფულიო, რადგან ახალ ეკლესის კურთხევა საჭიროა ამიტომ მეფის და ეპისკოპოსების მოწვევაც როგვინდებაო. მის ოცნებებმა იქამდის მიაღწიეს, რომ მეფის მისაწვევაო სასახლის აშენებაც-კი მოინდომა.

— ჯანაგრძე შენი ამბავი ბოლომდის, მიუბრუნდა მეფე მოამბეს, — მხოლოთ დაჩქარდი, ახლა ვიცით რასაც ფიქრობდა ის კაცი; დროა შევიტყოთ, როგორ მოიქცა.

მღვდელი ჯერ კიდევ ფიქრებში იყო გართული, რომ



პერსონის თავის მოკვლის ამბავი შემოიტანეს. საცოდავს ვეღარ დარ აეტანა თავის მაღნის წილის გაყიდვა და კვლავ ვეღარ უყურებდა თვის სიმღიღეზე სხვის ფარფაშს.

„შეფე ხელ-ახლად გასწორდა სავარძელში და გაფართოებული თვალებით იყურებოდა.

— „ღმერთშანი მე რომ აქაური მღვდელი ვყოფილვიყავ სწორეთ შემეზიზღებოდა ეგ მაღნები.

— მეფე მღიდარი კაცია, უპასუხა მოამბემ,—მას ყოველთვის ყველაფერი აქვს, ლარიბი მღვდლის საქმე-კი სულ სხვაა. როდესაც იგი დარწმუნდა, რომ ღმერთი არ უმართავს მათ ხელს, გადასწყვიტა თავზე არ ეფიქრა. მაგრამ არც ის უნდოდა, რომ ვერცხლი ცუდ უბრალიათ მიწაში ყოფილიყო ჩამარხული. მე თვითონ შევიმუშავებ და ჩემ სამრევლოში ღარიბ და უმწეოს ხელს გაუმართავ.

მეორე დღეს ის წავიდა ოლაფ სვერდთან და მის ქმასთან მოსალაპარაკებლათ, თუ როგორ შეუდგენ მაღნების შემუშავებას. ის იყო მღვდელი უახლოვდებოდა ჭის კაცების საღვამს, რომ იქიდან დაინახა გამოსული ეტლი, რომელსაც გარს ეხვივნენ შეიარაღებული ჯარის კაცები. შიგ იჯდა ვიღაც ბორკილით შებოჭილი. გზის შესახვევში მღვდელმა იცნო დამნაშავე, თუმცა იმას თავი შეხვეული ჰქონდა. ეს იყო ოლაფი სვერდი. მან სთხოვა თავის დარაჯებს, რომ შეეყენებინათ ეტლი, რადგან მღვდლისთვის უნდოდა ეთქვა ორიოდე სიტყვა. მღვდელი ახლოს მიუახლოვდა.

— ამას იქით მხოლოთ შენ გეცოდინება ის აღგილები, საღაც ვერცხლის მაღნებია.

— რას ნიშნავს შენი სიტყვები? ჰქითხა მღვდელმა.

— იცი, როდესაც შევიტყეთ, რომ მაღნები ვერცხლისა ყოფილა, აღარ იყო ჩვენ შორის ტკბილი ცხოვრება, მებმა დავიწყეთ ჩხუბი. წუხელი მ.აგვივიდა დიდი ლაპარაკი — ვინ ნახა პირველათ მადანი. ავტეხეთ ცემა, ტყება, მე შემომაკვდა, ის იმანაც შუბლზე კარგი დიდი დაღი დამისვა. ჩამოხრჩობა მომელი. ახლა მაღნების მფლობელი გარდონ შენ დარჩები და ერთი სათხოვარი მაქვს.

— თქვი, და ყველაფერს აგისრულებ.

— ხომ იცი რომ მე ბევრი შვილები მყავს...

მღვდელმა გააწყვეტინა სიტყვა.

— იმათთვის ნუ სწუხარ, ისინი თავიანთ წილს სრულიათ მიიღებენ.

— არა, მე სულ სხვა სათხოვარი მაქვს, მიუგო ოლაფმა,

— იმათ ნურაფერს ნუ მისცემთ.

მღვდელი განჩე გადგა და ხმას არ იღებდა.

— თუ ამის პირობას არ მომცემთ მე დამშვიდებით სულს ვერ დავლევ.

— კარგი, კარგი, უთხრა მღვდელმა — დაწყნარდით, გაძლევ სიტყვას, რომ აგისრულებ თხოვნას.

